

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია

რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/57 26 ივნისი 2015 წ.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების,
შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ასევე
მიღებული განათლების აღიარების წესი

თბილისი
2015 წ.

1. ზოგადი დებულება

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების საკითხები რეგულირდება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით და ამ წესების შესაბამისად.

2. სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი

2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს, რომელმაც დააკმაყოფილა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2.2. პირი ჩარიცხულად ითვლება და ენიჭება სტუდენტის სტატუსი უნივერსიტეტის რექტორის მიერ ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდეგ.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარმოსადგენი დოკუმენტები

3.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელია მსურველმა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადი განცხადება (შეივსება ადგილზე);

ბ) ფოტოსურათი (3/4) – 4 ცალი.

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) საშუალო/საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატის დედანი);

ე) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და კონკრეტული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

4. პროფესიული სტუდენტის სასწავლო რეგისტრაცია

4.1. ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდეგ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია.

4.2. აკადემიური რეგისტრაციის გასავლელად, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) გამოცხადებულ ვადაში შეავსოს სარეგისტრაციო განაცხადი;

ბ) გააფორმოს უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

4.3. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ დარეგისტრირდება დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით, უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი

5.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

5.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) აკადემიური შვებულება;

გ) ავადმყოფობა, რომელიც გამორიცხავს სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ვ) ფინანსური დავალიანება;

ზ) მობილობის საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტის მიერ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის დედნების წარმოუდგენლობა. (რექტორის 2014 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №01-01/62)

თ) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელია. (რექტორის 2015 წლის 26 ივნისი ბრძანება №01-01/57);

5.3. სტუდენტს აკადემიური შვებულება ეძლევა:

ა) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას, არაუმეტეს სამი წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროგრამის მეტი ხანგრძლივობა;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;

გ) ორსულობისა და ახალშობილთა მოვლის გამო (არაუმეტეს 4 სემესტრისა);

დ) სხვა საპატიო მიზეზით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ კონკრეტული განცხადების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

5.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 2 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

5.5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა

რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი

6.1. სტუდენტს სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტის დაგროვება;
- გ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- დ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამი მცდელობით დადებითი შეფასების მიუღებლობა;
- ე) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;
- ვ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით;
- ზ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
- თ) გარდაცვალება;

6.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები (ვ) და თ) პუნქტების გარდა) დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან.

6.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. აღნიშნულის შემდეგ სტუდენტი კარგავს გადახდილ აუთვისებელ თანხას.

6.4. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოს შესაბამის რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის რეგისტრაციას და საინფორმაციო ცენტრის ინფორმირებას.

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

7.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ უნივერსიტეტი განახორციელებს მიღებას შემდეგ ნაკადზე.

- 7.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩათვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური.
- 7.3. პროფესიული სტუდენტი სტატუსის აღდგენის მოთხოვნით განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, განცხადებაში მიეთითება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებათა დასრულების შესახებ და თან დაერთვება შესაბამისი მტკიცებულებითი დოკუმენტაცია.
- 7.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და ინფორმაცია შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ელექტრონულ რეესტრში.

8. პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება

- 8.1. მობილობით სტუდენტების მიღებისათვის გათვალისწინებულ ადგილებს, უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული ადგილების თავისუფალი რაოდენობის ფარგლებში, განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტი და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.
- 8.2. მობილობის ვადები მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.
- 8.3. მობილობა დასაშვებია მხოლოდ ერთი და იგივე ან უფრო მაღალი საფეხურის პროფესიულ პროგრამებს შორის.
- 8.4. პროფესიული სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს მობილობის უფლებას, ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს მისი პირადი საქმისა და საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები.
- 8.5. უნივერსიტეტი ახდენს მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას და მობილობის მსურველის თანხმობის შემთხვევაში, განსაზღვრავს, საგანმანათლებლო პროგრამის რომელი ეტაპიდან გააგრძელებს იგი სწავლას.
- 8.6. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და მობილობის მსურველის თანხმობის შემთხვევაში, განსაზღვრავს, საგანმანათლებლო პროგრამის რომელი ეტაპიდან გააგრძელებს იგი სწავლას.
- 8.7. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

- 8.8. მობილობის პროცესის უზრუნველყოფას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და უნივერსიტეტის სასწავლო განყოფილება.
- 8.9. ფაკულტეტის სასწავლო განყოფილება ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას/თავსებადობას უნივერსიტეტის ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე.
- 8.10. აღნიშნული დასკვნა და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის პროექტი ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და ხორციელდება პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.
- 8.11. სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში.
- 8.12. თუ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის კრედიტებს, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.
- 8.13. თუ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები აღემატება უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, სტუდენტს უღიარდება კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია გთსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
- 8.14. თუ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები ნაკლებია გთსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობაზე, სტუდენტს უღიარდება კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია იმ სასწავლო დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, საიდანაც ხდება მობილობა.
- 8.15. არ აღიარებული კრედიტების აღდგენა სტუდენტს აკისრებს დამატებით ფინანსურ ვალდებულებას.

9. შიდა მობილობა

- 9.1. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს გთსუ.
- 9.2. სტუდენტს უფლება აქვს უნივერსიტეტის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გადავიდეს უნივერსიტეტის მეორე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი საფეხურის ფარგლებში (შიდა მობილობა).
- 9.3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა:

- ა) შიდა მობილობით სარგებლობა სტუდენტს შეუძლია პროფესიული განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;
 - ბ) შიდა მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს ენიჭება სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
- 9.4. შიდა მობილობით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში 2-ჯერ როგორც წესი სასწავლო სემესტრების დაწყებამდე; შიდა მობილობის წინა პირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ განვლილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა ახალ პროფესიულ პროგრამასთან;
- 9.5. მობილობის განხორციელებისათვის სტუდენტი უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს შესაბამისი განცხადებით. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით ახდენს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარებას, განსაზღვრავს ახალი პროგრამის რომელი დონიდან გააგრძელებს სწავლას სტუდენტი და სემესტრის დაწყებამდე წარუდგენს რექტორს რეკომენდაციას სტუდენტის შიდა მობილობის წესით გადაყვანის თაობაზე. პროგრამების შესაბამისობის დასადგენად გამოიყენება ამ დებულებით დადგენილი წესები.
- 9.6. შიდა მობილობით გადასულ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესაბამისი (მიმღები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურის მიხედვით. პროგრამული თავსებადობისთვის აუცილებელი დამატებითი კრედიტების ასათვისებლად მას დაეკისრება დამატებითი კრედიტების/დამატებითი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა.
- 9.7. გთსუ-ს რექტორის ბრძანებით ფორმდება სტუდენტის შიდა მობილობით გადაყვანა და რეესტრში ასახვა.
- 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**
- 10.1. უნივერსიტეტი რომელიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისება მიღევად რეჟიმში და მხოლოდ შემდეგ მოახდინოს მისი შეცვლა ან გაუქმება შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით;
- 10.2. თუ უნივერსიტეტში არსებობს გასაუქმებელი ან შესაცვლელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე პროგრამა, უზრუნველყოს სტუდენტი მისი ათვისებით, ან მოიძიოს და ითანამშრომლოს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს იგივე პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამას, აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს სტუდენტს დეტალური ინფორმაცია და დაეხმაროს მობილობის პროცესის განხორციელებაში.

11. დასკვნითი დებულებები

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.